

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №51

ქ. თბილისი

21.11.2018

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი, სხდომის მდივანი;

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლოზქანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი; წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ნინო გაგელიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

გიორგი ქვარცხავა;

ვახტანგ უგრეხელიძე;

აკაკი გუნცაძე;

ნინო ლომიძე;

გიორგი გაგოშიძე;

ნათელა მაჭავარიანი;

იოსებ სარჯველაძე;

თემურ რუხაძე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

ირმა გრძელიძე;

გიორგი დადანიძე;

თემურ შენგელია.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

გიორგი ჯაფოშვილი;

ქეთევან კინწურაშვილი;

ნატალია ჯინჭარაძე;

ნატალია ცქიტიშვილი;

მურად გარუჩავა;

გოჩა თუთბერიძე.



საბჭოს სხდომა დაიწყო 14:10 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუდგვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელიზბარ ელიზბარაშვილი. ამავე პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ნათელა სახოკიას.

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

შუამდგომლობა არ დაფიქსირდა, შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	სატყეო საქმე
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით		სატყეო საქმის ბაკალავრი 0105
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე საზოგადოებას აცილების შესახებ შუამდგომლობაზე. საბჭოს წევრებმა, გიორგი ქვარცხავამ და ირინა გოცირიძემ განაცხადეს აცილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა საკითხთან მიმართებით, რაც გათვალისწინებული იყო დღის წესრიგით. ასევე აცილება განაცხადა თავად სხდომის თავმჯდომარემაც. დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონიათ. შესაბამისად, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს შესთავაზა სატყეო საქმის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ერთიანად განხილვა, გამომდინარე იქიდან, რომ ორივე პროგრამაზე რეკომენდაციები და დასკვნები იდენტური იყო.

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	სატყეო საქმე
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით		სატყეო საქმის მაგისტრი 0105
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებს, ექსპერტთა დასკვნების პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სატყეო საქმის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით, ორივე პროგრამა ანალოგიურად შეფასდა როგორც შესაბამისი ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამების წინა აკრედიტაციაზეც მონაწილეობდა პროგრამების შეფასებაში და გათვალისწინებული იყო ყველა რჩევა, რაც ექსპერტებმა იმ დროისთვის შეიმუშავეს. ფაკულტეტი ცალკე იყო გამოყოფილი და ეს ეტყობოდა როგორც პროგრამებს, ასევე აკადემიურ პერსონალს. კურსები კარგად იყო გაწერილი სტრუქტურაში. ადმინისტრაცია აქტიურად იყო ჩართული და დაწესებულების წარმომადგენლები ორიენტირებული იყვნენ შედეგზე.

დასკვნის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით ჰქონდათ ერთი რეკომენდაცია:

1. ცენტრალური ბიბლიოთეკა ფაკულტეტიდან საკმაოდ შორს იყო, სასურველი იქნებოდა ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ ფაკულტეტის სტუდენტების სწავლებისთვის იყო საჭირო, სრულად მოთავსებულიყო მათ ადგილობრივ ბიბლიოთეკაში.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს დრო დაუთმო კითხვების დასასმელად.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა იმ შემთხვევაში, თუ წიგნადი ფონდი გადავიდოდა ფაკულტეტზე, სათაო კორპუსში ხომ არ გაჩნდებოდა აღნიშნული წიგნების საჭიროება.

ქეთევან კინწურაშვილმა უპასუხა, რომ საუბარი იყო უშუალოდ პროგრამაში გათვალისწინებულ წიგნებზე და ექსპერტების მოსაზრება გამოიწვია სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუმ, სადაც ისინი აღნიშნავდნენ ამ სურვილს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, ვახტანგ უგრეხელიძემ აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ნამდვილად შორს მდებარეობდა და მათთვისაც მისასალმებელი იქნებოდა წიგნადი ფონდის ფაკულტეტზე გადატანა, მაგრამ ეს მაინც არ ქმნიდა პრობლემას, რადგან პროგრამა უზრუნველყოფილი იყო ელექტრონული წიგნებით.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა რა განსხვავება იყო სწავლების მხრივ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურზე კვლევის ელემენტები ემატებოდა 45 კრედიტის ოდენობით და სტუდენტი ასრულებდა სამაგისტრო ნაშრომს. მან დაამატა, რომ მიმდინარე წელს 7 ადგილი ჰქონდათ გამოცხადებული სამაგისტრო პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, თეო ურუშაძე დაინტერესდა პროგრამა თუ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ პროგრამა დაფინანსებული იყო.

საბჭოს წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით მიმართეს, თუ სად საქმედგებოდნენ კურსდამთავრებულები. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ძირითადად ნაკრძალებში, ბოტანიკურ ბაღებში, დაცულ ტერიტორიებსა და სანერგეებში იყო მოთხოვნა. 2019 წლიდან კი ოფიციალური მოთხოვნა ხდებოდა, სატყეო მიმართულებით მხოლოდ შესაბამისი განათლების ადამიანები დასაქმებულიყვნენ.

საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, რა მოთხოვნა იყო ბაზარზე და თუ იყო შესწავლილი სხვა მოქმედი ანალოგიური პროგრამები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აგრარულ უნივერსიტეტს ჰქონდა მსგავსი პროგრამა და ასევე თელავისა და ბათუმის უნივერსიტეტებიც ახორციელებდნენ სწავლებას ამ მიმართულებით. მან დაამატა, რომ სატყეო სააგენტოს ჰქონდა ჩატარებული კვლევა, სადაც დადგინდა 100 ადამიანის დასაქმების საჭიროება ყოველწლიურად. თითო რეინჯერს 7 000 – 10 000 ჰექტარამდე ჰქონდა დასაცავი, სწორედ აქედან წამოვიდა ეს მოთხოვნა.


საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი, დაინტერესდა თუ არსებობდა მონაცემები საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ, რამდენ ჰექტარს რა რაოდენობის სპეციალისტი სჭირდებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ამის განსაზღვრა და ლოკალურ სივრცეში გადმოტანა შეუძლებელი იყო, რადგან სხვა ქვეყნებს განსხვავებული ტექნოლოგია ჰქონდათ, გარდა ამისა, რაოდენობა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ტყის სახეზეც.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ, ექსპერტებს მიმართა კითხვით, *პერსონალის კვლევით აქტივობებზე, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებაზე მითითება რამდენად იყო რჩევა და არა რეკომენდაცია, იგივე კითხვა ჰქონდა სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმების ჩაშლის საჭიროებაზე*. ის ასევე დაინტერესდა, რამდენად შეესაბამებოდა სილაბუსის სახელწოდება „საინოვაციო პროექტების მომზადება და განხორციელება“ მის მიზნებთან, შინაარსთან და მითითებულ ლიტერატურასთან. მისი მოსაზრებით, სამაგისტრო დონეზე არსებობდა ძალიან კარგი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რისი შეტანაც უკეთესი იქნებოდა, იგივე შენიშვნა ჰქონდა პროექტის მენეჯმენტის საფუძვლების კურსთან დაკავშირებითაც.

ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენელმა, ვახტანგ უგრეხელიძემ უპასუხა, რომ ფაკულტეტი ახლადშექმნილი იყო, თუმცა უკვე ჩართული იყვნენ ERASMUS-ის პროექტში. 3 სტუდენტი იმყოფებოდა პოზნანის უნივერსიტეტში. აკადემიური პერსონალი სტატიებს აქვეყნებდა და მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში. მან დაამატა, რომ იგეგმებოდა პოლონეთის მხარესთან ერთად თანახელმძღვანელობის პრაქტიკის დანერგვაც.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ პროგრამაზე გენდერული გადანაწილებით. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ძირითადად ბიჭები ინტერესდებოდნენ ამ მიმართულებით, თუმცა გოგონებიც სწავლობდნენ.



უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ასევე უპასუხეს ექსპერტების რჩევას გეოგრაფიის ცალკე დისციპლინად გადატანის შესახებ - მათი თქმით, საკითხები დაფარული იყო სხვადასხვა კურსში და არ ჩათვალეს საჭიროდ კურსის ცალკე გამოტანა.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ აღნიშნა, რომ სწავლის მეთოდებში ეწერათ ბევრი რამ, რაც სინამდვილეში სააზროვნო უნარი იყო, მაგალითად სინთეზი, ანალიზი, შესაბამისად საჭირო იყო ჩასწორება და მხოლოდ სწავლების მეთოდების მითითება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაითვალისწინებდნენ ამ მოსაზრებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

15:04 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 15:28 საათზე.



3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	აგრარული ტექნოლოგიები
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი 0101
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგნაირად შეფასდა: ხუთივე სტანდარტი სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, მათ შორის, მეოთხე სტანდარტიც, მიუხედავად იმისა, რომ 4.3 კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფს იგივე რეკომენდაცია ჰქონდა, რაც წინა პროგრამებზე:

1. ცენტრალური ბიბლიოთეკა ფაკულტეტიდან საკმაოდ შორს იყო, სასურველი იქნებოდა ლიტერატურა, რომელიც მხოლოდ ფაკულტეტის სტუდენტების სწავლებისთვის იყო საჭირო, სრულად მოთავსებულიყო მათ ადგილობრივ ბიბლიოთეკაში.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ასევე ჰქონდათ რჩევები, რომლებიც გააცნეს დამსწრე საზოგადოებას:

1. სასურველი იქნებოდა, „თემატიკის“ ნაცვლად გამოყენებულიყო ტერმინი „საგანთა კონცენტრაცია“, ან სასწავლო კურსი ერთობლიობა, ან სპეციალიზაცია, ან მოდული.
2. სასურველი იყო, ტექნიკური ხარვეზის ჩასწორება სწავლის შედეგების რუკაზე, სადაც ზოგიერთ საგნის სილაბუსის შესაბამისად მონიშნული არ იყო ზოგიერთი კომპეტენცია, რომელსაც ამა თუ იმ საგნის გავლისას მიიღებდა სტუდენტი: მაგ. მცენარეთა ეკოლოგია, სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდები, სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა

მენეჯმენტი, აგრონომიის ინტეგრირებული კურსი, სასუქებისა და მზამქიმიკატების გამოყენება და ა.შ. იგივე გეგმაში, მე-4 არჩევით სამაგისტრო „თემატიკაში“ აგროექსპერტიზა მითითებული იყო, ხოლო კრედიტები და სხვა დანარჩენი მონაცემების შესაბამისი უჯრები ცარიელი. პროგრამის სასწავლო კურსში - მემცენარეობის საწარმოთა ელექტრომონოზომილობები-სწავლების ფორმად გამოყენებული იყო პრაქტიკული მეცადინეობა, ხოლო პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებული იყო სემინარი. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებისას სასურველი იქნებოდა, მეტად დაცულიყო ნორმატიული დოკუმენტაციით დადგენილი წესები.

3. სასწავლო კურსების უმეტეს სილაბუსში, მიუხედავად იმისა, რომ გაწერილი იყო შეფასების სისტემა, შეფასების კრიტერიუმი ზოგან გამსხვილებული სახით იყო წარმოდგენილი და არ იყო ჩაშლილი.
4. პროგრამაში ჩართული პერსონალი უნდა გააქტიურებულიყო კვლევით ნაწილში და გამოქვეყნებისას ყურადღება უნდა მიექციათ მაღალრეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციებს. ასევე უნდა გააქტიურებულიყო დარგების მიხედვით პროგრამაში ჩართული პროფესორის საერთაშორისო კავშირები და პრობლემატიკაზე თანამშრომლობა.

ექსპერტთა ჯგუფმა სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით განმარტა, რომ ადრე პროგრამა ხორცილდებოდა ქიმიის ფაკულტეტზე, პერსონალი სხვანაირად იყო დაკომპლექტებული. ძველი ნაშრომი გაფორმების თვალსაზრისით არ იყო შესაბამისობაში, თუმცა ახალი ფაკულტეტის ფარგლებში, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ მობილიზებული იყვნენ ამ მიმართულებით და მიაქცევდნენ ნაშრომებს შესაბამის ყურადღებას.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უზუსტობები გამოსწორებული იყო.

საბჭოს წევრმა, თეო ურუშაძემ „მცენარეთა ეკოლოგიის“ კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიზნის ფორმულირება იყო ბუნდოვანი, არ ჩანდა რის ანალიზსა და რა თეორიას გულისხმობდნენ. თეო ურუშაძემ დაამატა, რომ აგრონომიის ინტეგრირებული კურსის უსაფრთხოების საკითხებით დაწყება არ იყო მიზანშეწონილი, ჯობდა პირველ ლექციად შესავალი თემატიკის ჩადება. ხოლო ინტენსიური მიწათმოქმედების კურსის მიზნის ფორმულირება იყო დასახვეწი. თეო ურუშაძემ ასევე აღნიშნა, რომ ტერმინი „მზამქიმიკატები“ არ გამოყენებოდა ოფიციალურად და ამჟამად მას პესტიციდები ეწოდებოდა, შესაბამისად, დასაზუსტებელი იქნებოდა კურსის „მზამქიმიკატებისა და სასუქების გამოყენების საფუძვლები“ სახელწოდება. გარდა ამისა, საჭირო იყო სახელმძღვანელოების დამატება, რაც დაფარავდა სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების საკითხებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ საბჭოს წევრს და გამოხატეს მზაობა, შეეტანათ შესაბამისი ცვლილებები.

დიმიტრი ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ბევრი კურსი იყო მიზნული ერთ პროფესორზე, ზოგიერთ შემთხვევაში 6-9 კურსს კითხულობდა ერთი და იგივე პირი და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს შესაძლოა რისკი ყოფილიყო პროგრამის მდგრადობისთვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ეს პროფესორები სილაბუსის ავტორები იყვნენ, რეალურად კი სხვა პერსონალი კითხულობდა კურსებს.

საბჭოს იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა აკრედიტაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით მიზანშეწონილი იყო შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

15:55 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 16:12 საათზე.



4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	სასურსათო ტექნოლოგია
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		0104
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს შესთავაზა სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ერთიანად განხილვა, გამომდინარე იქიდან რომ ორივე პროგრამაზე რეკომენდაციები და დასკვნები იდენტური იყო.

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	სასურსათო ტექნოლოგია
განათლების საფეხური		მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	სასურსათო ტექნოლოგიის მაგისტრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		0104
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		120

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშებს, ექსპერტთა დასკვნების პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით, ორივე პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

ანალოგიურად შეფასდა: 1-ლი, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტები სრულად შეესაბამებოდა მოთხოვნებს, მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, რადგან ორი კომპონენტი 2.2 და 2.3 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა მურად გარუჩავამ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტისას გამოიკვეთა ბევრი საკითხი, უმეტესობა ადგილზევე გაირკვა და რაზეც ვერ მიიღეს პასუხი, ის წარმოადგინეს დასკვნაში. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით:

1. სასურველი იქნებოდა, სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები გამოყოფილიყო სტატუსისა და კრედიტების მიხედვით.
2. მიზანშეწონილი იყო, უცხო ენის სწავლება არა 2 სემესტრი, არამედ უფრო მეტი (3 ან 4).

რეკომენდაციები სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით:

1. სასურველი იყო, სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსების გამოყოფა სტატუსისა და კრედიტების მიხედვით.
2. დაზუსტებულიყო ზოგიერთი სასწავლო კურსის სწავლება სემესტრის მიხედვით, შესაბამისი პრერეკვიზიტის გათვალისწინებით. კერძოდ სასწავლო კურსი „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“ ესწავლებინათ პირველ სემესტრში, პრერეკვიზიტის გარეშე, ხოლო „სურსათის უვნებლობა“ კი მეორე სემესტრში და მისი პრერეკვიზიტი ყოფილიყო „სურსათის მიკრობიოლოგიური საფრთხეები“.
3. სასწავლო კურსის სილაბუსში „სასურსათო წარმოების ბიოქიმია“ ძირითადი ლიტერატურა. ბოლქვაძე-ბიოქიმია, 1999 წ. შეიცვალოს გახოკიძე, ტაბატაძე-კეების პროდუქტების ქიმიით, 2016.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უცხო ენასთან დაკავშირებით გამომდინარეობდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისგან.

საბჭოს წევრი, გელა გელაშვილი დაინტერესდა რით იყო გამოწვეული რეკომენდაცია უცხო ენების კომპონენტის გაზრდის შესახებ - უცხოენოვანი ლიტერატურა იყო პროგრამაში, რასაც ვერ ძლევდნენ სტუდენტები თუ სამსახურის მოძებნის პერიოდში აწყდებოდნენ კურსდამთავრებულები პრობლემას.

მურად გარუჩავამ უპასუხა, რომ სამსახურთან იყო დაკავშირებული სტუდენტების მოთხოვნა. მან ასევე საბჭოს წევრებს წარუდგინა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები:

- სასურველი იქნებოდა, სწავლის შედეგების კომპენენტებში გამოყენებულიყო ზმნა - იცის.
- ზოგიერთ სასწავლო კურსს პრერეკვიზიტად მითითებოდა ის საბოლოო საგანი, რომელიც უშუალოდ შესასწავლი სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენდა და არა რამოდენიმე სასწავლო კურსის ჩამონათვალი, რომლებიც ისედაც იყვნენ ერთმანეთის პრერეკვიზიტები.
- სპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს მინიჭებოდა 5 კრედიტი, რათა სასწავლო გეგმაში მითითებული 20 კრედიტი სტუდენტს აერჩია სურვილისამებრ.
- თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულიყო საკონსულტაციო დღეები, შესაბამისი საათების მითითებით.



- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, სასურველი იყო ამ პირთა მივლინებები შესაბამისი პროფილის უცხოურ უნივერსიტეტებში გაცვლითი პროგრამების სახით, როგორც სამეცნიერო საქმიანობისათვის, ასევე სასწავლო კურსების წასაკითხად.
- პროგრამის გარე შეფასების უზრუნველყოფა ამავე ან მონათესავე დარგის შესაბამისი პრაქტიკოსი სპეციალისტის მიერ, რომელიც მონაწილეობას არ იღებდა წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში. ექსპერტთა მოსაზრებით, ასეთი დასკვნა უფრო შეუწყობდა ხელს პროგრამით დასახული პრაქტიკული კომპონენტის განვითარებას.
- სასურველი იყო ბიბლიოთეკის შევსება ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით (თუნდაც თარგმანებით ან რიდერებით).

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა მოსაზრებების გამოთქმის საშუალება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შექმნის საუნივერსიტეტო ფორმა არსებობდა, რასაც დამოუკიდებლად ფაკულტეტი ვერ შეცვლიდა, თუმცა დააყენებდა შესაბამის შუამდგომლობას. უცხო ენასთან დაკავშირებით მათ განმარტეს, რომ ეთმობოდა 10 კრედიტი და პრობლემა ის იყო, რომ სტუდენტებს ამ კურსების გავლის შემდეგაც არ ჰქონდათ შესაბამისი დონე, ამიტომ ფიქრობდნენ, რომ კრედიტების გაზრდა არ იყო სწორი გამოსავალი და ამ საკითხზე მთლიანად უნივერსიტეტში მიმდინარეობდა მუშაობა დეკანის ჩართულობით. გეგმავდნენ ჯგუფების შედგენას დონეების მიხედვით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სთავაზობდა უცხო ენების უფასო კურსებსაც. მან დაამატა, რომ სტუდენტის მიმართ, რომელიც აბარებდა გამოცდას, არსებობდა მოლოდინი, რომ ლიტერატურის გაცნობას მოახერხებდა უცხო ენაზე. პროგრამის მიზნები ფოკუსირებული იყო სპეციალობების სწავლებაზე და უცხო ენის ადგილი არ რჩებოდა. თუმცა მოიაზრებდნენ გრადაციას პირველ კურსზე ცოდნის დონეების მიხედვით. გარდა ამისა, არჩევით ბლოკში სტუდენტები თავისუფლები იყვნენ თავიანთ სურვილისამებრ, აერჩიათ მინიმუმ 20 კრედიტი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა რადიკალურად იყო შეცვლილი. ადრე პრაქტიკა ჩაშლილი იყო კურსში, ახლა გამოტანილი იყო ცალკე.

პრერეკვიზიტებთან დაკავშირებული რეკომენდაცია მისაღები იყო, მაგრამ განმარტა რომ ეს გაკეთდა იმ მიზნით, რომ სტუდენტს ჰქონოდა ნათელი წარმოდგენა თუ რას მოიცავდა კურსი.

საბჭოს წევრმა, თეო ურუშაძემ წარმოადგინა მისი მოსაზრებები: ეკოლოგიის საფუძვლებთან დაკავშირებით, ძირითად ლიტერატურას წარმოადგენდა ბიოლოგია და გარემოს ქიმია, ამ სახელმძღვანელოთი მთელი რიგი საკითხებისა არ იფარებოდა. სალექციო კურსსა და სემინარებს შორის იყო აცდენა, ამისი თავიდან არიდება შესაძლებელი იქნებოდა, თუ მაგალითად გამოიყენებდნენ ელიავა-ნახუცრიშვილის სახელმძღვანელოს. ბევრი საკითხები იყო ბიოლოგიიდან - ბიოლოგიური სტატისტიკა, სახეობათა დადგენა და ა.შ. თეო ურუშაძის მოსაზრებით, ნიადაგის სტრუქტურა უნდა ესწავლებინათ ნიადაგმცოდნეობაში. გარდა ამისა, ჰიდრაულიკა და სასურსათო ტექნოლოგიების პროცესები და აპარატების სილაბუსები ფარავდა ერთმანეთს რიგ საკითხებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროცესებსა და აპარატებში ასწავლიდნენ თეორიულ ნაწილს, ხოლო ჰიდრავლიკაში - პრაქტიკულს. მაგალითად, პირველში სითხეების დენადობას სწავლობდნენ სტუდენტები და ჰიდრავლიკაში - იმავე საკითხს მანქანა-დანადგარებში გამოყენების დროს.

თეო ურუშაძემ აღნიშნა, რომ სალექციო კურსებში ერთნაირად ეწერა და განსხვავება არ იკითხებოდა. მან დაამატა, რომ აბსორბაცია, კრისტალიზაცია თითო-თითო ლექციაში იყო მოქცეული. მისი მოსაზრებით, მეტი დროის დათმობა სჭირდებოდა ამგვარ თემებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები სწავლობდნენ სათანადოდ და ცალკე ტექნოლოგიის კურსშიც იფარებოდა ეს საკითხები. მათი მოსაზრებით, მნიშვნელოვანი იყო ასე სწავლება, რადგან სტუდენტს სცოდნოდა დანადგარზე რომელ სითხეზე რა გამოყენებინა, სითხის სიბლანტის მიხედვით მიმხვდარიყო, რომელ უბანზე დაეყენებინა.

ექსპერტმა, მურად გარუჩავამ აღნიშნა, რომ მასაც იგივე მოსაზრება ჰქონდა, მაგრამ ტექნიკური უნივერსიტეტი უფრო გადამამუშავებელი და საინჟინრო კუთხით მიდიოდა, ვიდრე წარმოების.

თეო ურუშაძემ განაცხადა, რომ პროგრამაში არ იყო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც იყო ბლანშირება, პასტერიზაცია. ასევე, ბევრი არჩევითი კურსი იყო პროგრამაში, რაც მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავდა და სავალდებულო უნდა გამხდარიყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მომავალი წლის ბოლოს არჩევითი კურსების დიდი ნაწილი სავალდებულო გახდებოდა, ამჟამად ამ ცვლილების შეტანა საქმეს გაურთულებდა დამამთავრებელი კურსების სტუდენტებს.

საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა ზოგადი ფიზიკის კურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისთვის უცნაური იყო სამაგისტრო პროგრამაში ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა „ელექტროსტატიკის გამოყენება მოწყობილობების მოხმარებისას“, ომის კანონი, შეკრული წრედი და ა.შ. რადგან ეს საბაკალავრო საფეხურის ფარგლებში უნდა დასრულებულიყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ყურადღებას აქცევდნენ ელექტროსტატიკასაც და ომის კანონსაც, რადგან ავტომატიკის საფუძვლებს სწავლობდნენ სტუდენტები და უნდა სცოდნოდათ ეს საკითხები. მაგისტრატურაში ისწავლებოდა ავტომატური მართვის სისტემები, რაც ხიდის წრედის საკითხებს აუცილებლად მოიცავდა. მაგისტრანტს არამხოლოდ უნდა შეესრულებინა, არამედ უნდა მიეცა კიდეც დავალებები, სწორედ ამიტომ უნდა სცოდნოდა ხელსაწყოების შესაძლებლობები.

გელა გელაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ფიზიკის საგანში ლიტერატურა მხოლოდ ერთ ავტორს ეკუთვნოდა და კარგი იქნებოდა გაეთვალისწინებინა სილაბუსის ავტორს გამრავალფეროვნება.

ამაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათ ფიზიკის დეპარტამენტში გაიარეს კონსულტაციები, მიაწოდეს საკითხები, რაც სპეციალობისთვის იყო საჭირო და დეპარტამენტმა უზრუნველყო შესაბამისი სპეციალისტი.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ორგანული ქიმიის სილაბუსში ლაბორატორიულს 1 საათი ეწერა, პროგრამაში 2. მისი აზრით, ეს არ იყო საკმარისი დრო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ 2 საათი ეთმობოდა ლაბორატორიულ სამუშაოს და პრაქტიკა აჩვენებდა, რომ ასწრებდნენ საკითხების გავლას.

უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაეთანხმნენ სამაგისტრო პროგრამაში პრერეკვიზიტისა და ლიტერატურის შესახებ შენიშვნებს. დაამატეს, რომ ინტერნაციონალიზაციისკენ ნაბიჯები უკვე გადადგმული იყო, მაგალითად თანამშრომლობდნენ ფრანგულ უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამის შექმნის ფარგლებში. აღნიშნული პროგრამიდან მივლინებული იყო პერსონალი მოლდოვაში, მონაწილეობდნენ კონფერენციებში, მათ შორის აზერბაიჯანში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9


წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭომ დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისა და საბჭოს სხდომაზე მიღებული რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრა 6 თვე.

17:00 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 17:18 საათზე. სხდომა დატოვა გელა გელაშვილმა.



17

6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური		სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 02
კვალიფიკაციის კოდის მითითებით		
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		180

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა განაცხადა აცილების შესახებ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამა მეტწილ შესაბამისობაში იყო პირველ, მეოთხე და მეხუთე სტანდარტების მოთხოვნებთან, ნაწილობრივ შეესაბამებოდა მეორე სტანდარტის მოთხოვნებს და სრულად შეესაბამებოდა მესამე სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გოჩა თუთბერიძემ წარმოადგინა, მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც, საჭირო იყო:

1. პროგრამის მთავარი მიზნის დადგენა და მისი მიმართვა სადოქტორო განათლების უმაღლესი კომპონენტის ირგვლივ, განათლების ამაღლების უზრუნველყოფით მართვის მეცნიერებაში ორიგინალური კვლევის განხორციელებით და ამით საერთაშორისო აკადემიურ და მკვლევარ საზოგადოებასთან მისკომუნიკაციის თავიდან არიდებით.
2. პროგრამის მიზნის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა წერილობით და ვერბალურ კომუნიკაციაში.
3. პროგრამის მიზნის უკეთესად მორგება თსუ-ს მისიასა და ღირებულებებთან.
4. პროგრამის მიზნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტების, პერსონალისა და მოწვეული პერსონალის/ხელმძღვანელებისთვის როგორც საუნივერსიტეტო, ასევე გარეშე დონეზე, პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის მის მიზანთან

შესაბამისობის უზრუნველყოფისა და ძირითადი მონაწილე მხარეებისათვის გაზიარების მიზნით.

5. პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან აკადემიური სადოქტორო პროგრამებისათვის.
6. სწავლის შედეგების რიცხვების შემცირება, რათა პროგრამა უფრო მარტივად სამართავი და აზრიანი იყოს სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.
7. სწავლის შედეგების შეფასების ციკლის ჩამოყალიბება ბოლოდროინდელ სწავლის შედეგების გაზომვის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით და სწავლის შედეგების შეფასების გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის გაუმჯობესებისათვის.
8. კურიკულუმის რუკის შედგენა, რომელიც ასახავს თუ როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი, ასევე პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის კავშირს სასწავლო კურსთან და კვლევის კომპონენტის სწავლის შედეგებთან.
9. უნდა ჩამოყალიბდეს სემესტრების მიხედვით გაწერილი პროგრამის სილაბუსი. მასში უნდა იგულისხმებოდეს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (ასევე თითოეული სასწავლო კურსი).
10. დოქტორანტ სტუდენტებს უნდა შეეთავაზოთ მესამე საფეხურისთვის შესამისი აკადემიური კურსები, როგორცაა თანამედროვე კვლევა მენეჯმენტში, ფინანსებში, მარკეტინგში და სხვ. უნდა გაიზარდოს კურსის- კვლევის მეთოდოლოგია-კრედიტების რაოდენობა, რათა სტუდენტებმა პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღონ თამამდროვე კვლევითი პროგრამების გამოყენების გზით.
11. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებს უნდა შეთავაზოთ შესაბამისი არჩევითი საგნები.
12. კურსების - „კვლევის მართვა“ და „აკადემიური წერა“- სილაბუსები უნდა შეიცვალოს და მათ შორის არსებული დუბლირებები უნდა აღმოიფხვრას.
13. კურსის - „კვლევის მართვა“ სწავლის შედეგები უნდა დაკონკრეტდეს შინაარსის მიხედვით. ამასთან ერთად, უნდა განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის სია.
14. კურსის - „პროფესორის დახმარება“ კრედიტების რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო „კვლევის მეთოდების“ კრედიტების რიცხვი უნდა გაიზარდოს. ასევე, კურსი „კვლევის მეთოდები“ უნდა მოიცავდეს თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდებს.
15. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალი ტრენინგით პროგრამის სწავლის შედეგების და მათი მიღწევის გაზომვის/შეფასების მექანიზმების შესახებ.
16. დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ზემოთხსენებული გარემოება და შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც შეამცირებს პროგრამაში დასაქმებულთა საშუალო ასაკს და უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს ახალგაზრდა მკვლევარებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის აკადემიურ და კვლევით პროცესებში.
17. თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მისაღწევად აუცილებელია ინფრაქსტრუქტურის გაუმჯობესება.
18. სისტემური და სისტემატიური მიდგომის ჩამოყალიბება პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.
19. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენების უზრუნველყოფა პროგრამის გასაუმჯობესებლად.

20. პროგრამის გაუმჯობესების მიზნებიდან გამომდინარე შეგროვებული მონაცემების უფრო სისტემური მოგროვება და გაანალიზება.
21. პროგრამის განვითარების მიზნების დადგენა კონკრეტული ინდიკატორებით ინფორმაციის უფრო შინაარსიანი ანალიზის უზრუნველსაყოფად.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ შეაჯამა რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ ისინი რამდენიმე მიმართულებით დაჯგუფდა:

რაც საუნივერსიტეტო რეგულაციებს უკავშირდებოდა ახლა განიცდიდა გარკვეულ ცვლილებებს, მაგალითად, უნდა დამტკიცებულიყო დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, რომლის გადახედვაშიც მონაწილეობდა EUA-ს სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. ნუსხაში აღარ იქნებოდა ყველა სუნივერსიტეტო საგანი, მოერგებოდა სპეციფიკას და სტუდენტის საჭიროებებს.

მეცნიერების მენეჯმენტიც მათ შორის იყო სავალდებულო ყველა დოქტორანტისთვის და აქაც იგეგმებოდა ცვლილებები. უნივერსიტეტის წარმომადგენლები ეთანხმებოდნენ ექსპერტებს კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნებისა და კრედიტების გაზრდის საკითხებში.

მეორე ჯგუფის შენიშვნები დაკავშირებული იყო სწავლის შედეგების განსაზღვრასთან და კურიკულუმის რუკის შედგენასთან - ამ მიმართულებითაც განხორციელდა ცვლილებები, მომზადებული იყო უნივერსიტეტში ტრენინგ-კურსი, რაც სწავლის შედეგების გაწერის მექანიზმებს, სამიზნე ნიშნულების შექმნას ემსახურებოდა პერსონალისთვის. სწავლის შედეგების რაოდენობა შემცირდებოდა ამის მიხედვით.

ირმა გრძელიძის თქმით, ერთიანი მიდგომა მუშავდებოდა ხარისხის სისტემასთან დაკავშირებითაც - მიმდინარეობდა ციკლური პროცესი, რეგულარულად ხდებოდა მონაცემების დამუშავება. ცვლილებები გასული იყო ყველა ფაკულტეტზე, კვლევით ერთეულში და დეკანების დასაწყისში სავარაუდოდ გავიდოდა აკადემიურ საბჭოზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, გიორგი ლაღანიძემ დაამატა, რომ რეგულაციით განსაზღვრული იყო პროფესორის ასისტენტობაც. მათ სურდათ, დაკლებოდა ამ კომპონენტს და დამატებოდა კვლევის მეთოდებს, ამის გათვალისწინებით, მეორე სტანდარტთან არსებული შენიშვნები მოიხსნებოდა. რეგულაციის მიღების შედეგად, არჩევით კურსებში შეძლებდნენ მეტი დისციპლინის შეთავაზებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ბევრი რეკომენდაცია ატარებდა სასურველობის ხასიათს. განაცხადა, რომ თსუ-ის მისია განთავსებული იყო ვებგვერდზეც, საკითხების დუბლირება პროგრამის მიზნებში საკამათო საკითხი იყო. მან დაამატა, რომ როდესაც პირველად მოდიოდა დოქტორანტი შიდა კომუნიკაციაც მყარდებოდა მასთან, თვითონაც ხდებოდა, კომისიის წევრებიც უმარტავდნენ პროგრამის მიზნებს, შესაბამისად, ატმოსფერო ღია იყო სტუდენტისთვის.

სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით, ხდებოდა გამოკითხვის საშუალებით ინფორმაციის მოგროვება, ასევე თვითშეფასების ანგარიშს ახლდა რუკები.

ბოლო დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებდა ბევრ ტრენინგს და ეს პროცესი აქტიური იყო.

მისი თქმით, 180 კრედიტიდან 50 ეთმობოდა სასწავლო კომპონენტს, გაწერილი იყო დეტალურად სემესტრების მიხედვით და სათითაოდ სილაბუსების გაწერა არ იქნებოდა ეფექტური და ეფექტიანი.

კრედიტების გაზრდასთან დაკავშირებით, შესაძლებელი იყო ექსპერტებთან დათანხმება და გადაიდგმებოდა ქმედითი ნაბიჯები. რაც შეეხებოდა არჩევით კომპონენტს, სტუდენტი არ იყო შეზღუდული, შეეძლო აერჩია სხვა კურსები.

პროგრამის ხელმძღვანელისთვის მისაღები იყო ასევე რეკომენდაციები პროფესორის ასისტენტობისა და კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. თუმცა ის არ ეთანხმებოდა მოსაზრებას ასაკთან დაკავშირებით, რადგან თვლიდა რომ ასაკობრივი დისკრიმინაცია მეცნიერებაში დაუშვებელი იყო, მით უმეტეს, როდესაც კადრების დინამიური ცვლა მიმდინარეობდა, მან დაამატა, რომ საშუალო ასაკი პროგრამაზე წარმოადგენდა 49.6-ს.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ განმარტა, რომ ნაგულისხმევი იყო არა ასაკი, არამედ ახალგაზრდების მეტი ჩართულობა, რადგან კურსდამთავრებულები მიდიოდნენ სხვა უნივერსიტეტებში და შეიძლებოდა მათი რესურსის გამოყენება თსუ-ის მიერ.

გიორგი ლაღანიძემ აღნიშნა, რომ თსუ-ს კურსდამთავრებულებს სხვა უნივერსიტეტები მაშინვე სთავაზობდნენ ასოცირებული პროფესორის თანამდებობას და ამაზე ისინი უარს ვერ აცხადებდნენ. კათედრაზე იყო 3 ასოცირებული პროფესორი, რომელთა ასაკი 40-ზე ნაკლები იყო.

ნათელა სახოკიამ დაამატა, რომ შესაძლოა ეს ფაკულტეტის ბრალი სულაც არ ყოფილიყო და HR არ მუშაობდა შესაბამისად.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო არა ასაკზე, არამედ სხვადასხვა გამოცდილებაზე. ის დაინტერესდა, რამ გამოიწვია არჩევითი საგნების არჩევანის სიმწირე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არჩევითი კურსების ჩამონათვალის გაფართოება შესაძლებელი იყო პროფესორის ასისტენტობის შემცირების ხარჯზე.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, ყველაზე კრიტიკული ამ შემთხვევაში იყო პროგრამის მიზნებში ბუნდოვანი ორიენტაცია კვლევაზე. მან კითხვით მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, თუ რა წარმოადგენდა პროგრამის მთავარ მიზნებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ დოკუმენტებში ნათლად იყო წარმოდგენილი პროგრამის მიზნები და ყველა ექსპერტს შესაძლოა ჰქონოდა საკუთარი მოსაზრება.

პაატა ბრეკაშვილმა ამოიკითხა პროგრამის მიზნები, სადაც საუბარი იყო სფეროში შემოქმედებითი იდეების გენერაციაზე, ჰიპოთეზის შექმნაზე, ანალიტიკაზე, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, თუმცა მისი შეფასებით, აქ არ ჩანდა ახალი ცოდნის

შექმნა, გაზიარება, არ იკითხებოდა მიზნებში მკვლევრის გაზრდა. საბჭოს წევრს ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გოჩა თუთბერიძე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მეცნიერ-მკვლევარი თავისთავად მოიაზრებდა ამ საკითხებს.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ შესაძლებელი იყო დოქტორანტს დაესრულებინა პროგრამა, მაგრამ ვერ გამოსულიყო წარმატებული მკვლევარი. მან დაამატა, რომ შესაძლოა სცოდნოდა ჰიპოთეზი შექმნა, იდეების გენერირება, მაგრამ „მკვლევარი“ უფრო მეტ შინაარსს გულისხმობდა.

გიორგი ღაღანიძემ უპასუხა, რომ შესაძლოა, სიტყვებში ყოფილიყო პრობლემა, რადგან როდესაც წერდნენ ამას გულისხმობდნენ, თუ დოქტორანტი კვლევას ვერ ჩაატარებდა, ვერ შეიმუშავებდა ჰიპოთეზას და გაუზიარებდა ცოდნას, შესაბამისად, ვერ დაიცავდა ხარისხს.

პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ კვლევის კომპონენტი არ იკითხებოდა პროგრამაში, არ ჩანდა, რომ დამოუკიდებლად ჩაატარებდა დოქტორანტი კვლევას, მართალია ზეპირად რასაც საუბრობდნენ, ავსებდა ამ კითხვებს, მაგრამ პროგრამიდან არ იკვეთებოდა. გარდა ამისა, კვლევის სრული წარმოება, ჰიპოთეზის შექმნა მაგისტრსაც შეეძლო, სადოქტორო პროგრამის მიზანი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო.

ელიზბარ ელიზბარაშვილმა დაამატა, რომ კვლევის ჩატარება თავისთავად არ ნიშნავდა კვლევის ხარისხს. საჭირო იყო სხვა აკადემიური საზოგადოების მიერ ცნობაც აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეიძლებოდა უკეთ ფორმულირება, მაგრამ ინტერპრეტაციის საკითხი იყო, როგორ გაიგებდნენ დაწერილს.

პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ შეიძლება ორგანიზება ჩანდეს, მაგრამ შედეგი არ იკითხებოდა პროგრამის მიზანში. გარდა ამისა, მას ჰქონდა კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ საერთოდ რამდენად იყო დასახელებული შედეგები სადოქტორო საფეხურის შესაბამისი. მან მაგალითად მოიყვანა მენეჯმენტის კონცენტრაცია, სადაც საუბარი იყო სტრატეგიული გეგმების შემუშავებაზე, იმპლემენტაციასა და შეფასებაზე. პაატა ბრეკაშვილის მოსაზრებით, ეს უნარები მაგისტრსაც უნდა ჰქონოდა, სადოქტორო საფეხურზე გავიდოდა იმ შემთხვევაში, თუ მოიგონებდა ახალ გეგმას. სიახლე არ იკვეთებოდა აღნიშნულ პროგრამაში. ანალიზი, ატესტაცია, ოპტიმიზაცია, სამუშაოს აღწერილობა კი ბაკალავრსაც უნდა შეეძლებოდა. საბჭოს წევრმა დაამატა, რომ ამგვარად იყო გაწერილი ყველა ქვეკონცენტრაციის სწავლის შედეგები და შეესაბამებოდა სამაგისტრო დონეს. სამი მთავარი კომპონენტიდან - პროგრამის მიზანი, შინაარსი და შედეგი - არცერთი არ იყო სადოქტორო დონის შესაბამისი - მიზანი ბუნდოვანი იყო, სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა სადოქტორო საფეხურს, 2 სილაბუსში ვიკიპედია იყო მითითებული. აკადემიური წერის სილაბუსის მიზანში ეწერა რომ გათვალისწინებული იყო რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა, ამ დროს კვლევის მეთოდებში არსად გვხვდებოდა თვისებრივი კვლევა. 6 კონცენტრაციაზე ისწავლებოდა SPSS და EViews, მაგრამ ის საათები რაც იყო დათმობილი არ იყო საკმარისი ერთი პროგრამის შესწავლისთვისაც, ანუ აღნიშნულ საკითხებს ვერ ასწავლიდნენ ამ კრედიტის მოცულობის ფარგლებში.

პაატა ბრეკაშვილმა დაამატა, რომ არჩევით ბლოკში იყო კურსები, რაც უფრო ახლოს იყო პროგრამის მიზნებთან, ვიდრე სავალდებულო ბლოკში. მისი თქმით, დოქტორი უნდა გაზრდილიყო შესაბამის კვლევებზე მუშაობით, თანამედროვე კვლევებს უნდა გაცნობოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ მათ დიდი ხნის გამოცდილება ჰქონდათ და არაერთი დოქტორი ჰყავდათ მომზადებული.

გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ 50 კრედიტი იყო მინიმალური, რითაც უნდა ესწავლა დოქტორანტს, ამიტომ შეჩერდნენ არატრადიციულ ეკონომიქსზე. ამზადებენ მკვლევრებს, ვისაც უნდა გაეანალიზებინა, რომ ახალ ველში მოუწევდა მოღვაწეობა. აქვეყნებდნენ სტატიებს. ახალი მინიმალური სტანდარტი ზრდიდა მოთხოვნებს და უწესებდა სკოპუსში გამოქვეყნების ვალდებულებას, ეს იყო მკვლევრის გაზრდის მათი კონცეფცია. ცდილობდნენ ესწავლებინათ ყველაზე ზოგადი მიდგომები და რომელს გამოიყენებდა დოქტორანტი, მისი გადასაწყვეტი იქნებოდა. ის მუშაობდა ხელმძღვანელთან, ასევე მნიშვნელოვანი იყო დაცული დისერტაციების ხარისხი, რაც მისი მოსაზრებით, საუკეთესო იყო მათ შორის, რასაც გაცნობია.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა რა თემატიკაზე მუშაობდნენ დოქტორანტები, თუ შეიძლებოდა მაგალითად ბოლო 2 დისერტაციის თემის დასახელება.

გიორგი ღაღანიძემ უპასუხა, რომ მაგალითად დაიცვეს დისერტაცია სოციალურ კაპიტალზე, საინვესტიციო პოლიტიკის საკითხებზე.

გიორგი თურქიას მოსაზრებით, იგივე საკითხები შეიძლებოდა დაეცვათ ეკონომიკის სადოქტორო პროგრამაზე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მთავარი იყო შინაარსი, ამ დისერტაციებში ჭრილი იყო ბიზნესის ადმინისტრირება და გაიხსენა სხვა მაგალითებიც, მაგალითად გენმოდირიგირებულ პროდუქციასთან მიმართებით ქართველი მომხმარებლების შერჩევაზე, როგორ ხდებოდა აღქმა და გადაწყვეტილების მიღება, აღებული იყო მათემატიკური მოდელები და ეს ნაშრომი გამოქვეყნებული საზღვარგარეთაც. დოქტორანტების პუბლიკაციები იბეჭდებოდა ამერიკაში, პოლონეთში, რუმინეთში. მოთხოვნა იყო, ერთი სტატიის გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ ჟურნალში.

სხდომის თავმჯდომარემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის მისაღები იყო მოდელი, როდესაც დოქტორანტი სწავლების კომპონენტიდან იღებდა რაც კვლევისთვის სჭირდებოდა, მაგრამ იზადებოდა სხვა კითხვები, მაგალითად - სივის შედგენის სწავლებასთან დაკავშირებით, ასევე, მისი თქმით, აკადემიურ წერას ფილოლოგი ვერ ასწავლიდა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ ეს ძველი რეგულაციის ნაწილი იყო და უქმდებოდა. შემცირდებოდა სასწავლო კომპონენტი.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ დასვა შეკითხვა რომ სწორედ სასწავლო კომპონენტის ხარვეზის გამო ხომ არ იყო დამდგარი ისეთი შედეგი, როდესაც დოქტორანტების მხოლოდ მცირე რაოდენობა იცავდა დისერტაციას?

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტი ასრულებდა თავის ფუნქციას, კვლევა - თავისას. მან დაამატა, რომ მოთხოვნა იმდენად მაღალი იყო, რომ

ცდილობდნენ ყველა დისერტაცია არ ყოფილიყო გატარებული. რაც შეეხებოდა არატრადიციულ ეკონომიქსს, მისი მოსაზრებით, ეკონომიკა და ბიზნესი მკაცრად გამიჯნული არსად არ იყო. არჩევით კურსს კი სტუდენტი სურვილის შემთხვევაში ირჩევდა და ამ კურსის მიმართ ინტერესი მაღალი იყო - დოქტორანტების 60% ირჩევდა მას.

საბჭოს წევრმა, სოფიკო ლობჯანიძემ განაცხადა, რომ სწავლების თანამედროვე მეთოდების კურსი სერიოზულ გადახედვას საჭიროებდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ეს კურსი ჩართული იყო სხვა პროგრამებზეც და გაიარა აკრედიტაცია შენიშვნის გარეშე.

საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ ჰქონდათ იგივე შენიშვნა სხვა პროგრამების ფარგლებშიც.

პაატა ბრეკაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ მაგალითად მარკეტინგში ტოპ ჟურნალებს და გამოქვეყნებებს არ გაეცნობოდნენ სტუდენტები, ვერ მიიღებდნენ შესაბამის ცოდნას დარგში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამას კვლევითი კომპონენტის ნაწილში უზრუნველყოფდნენ.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ თუ ბიზნესის ადმინისტრირების ქვეკონცენტრაციაში იღებდა დოქტორანტი ხარისხს, მას არ ეცოდინებოდა ძირითადი მიმართულებები, შეზღუდული იქნებოდა მხოლოდ იმ თემით, რაზეც იმუშავებდა. მან დაამატა, რომ თუ დოქტორანტს ზრდიდნენ მკვლევრად, უნდა მიეცათ ინსტრუმენტები და მეთოდები, და გაეცნოთ დარგში შექმნილი ცოდნა. სტუდენტი არ უნდა ყოფილიყო შეზღუდული მხოლოდ იმ ლიტერატურის გაცნობით, რა საკითხზეც მისი სადისერტაციო ნაშრომი იქნებოდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ პროგრამა გაკეთდა მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით და იმ დროს ვერ აუვლიდნენ გვერდს ამ რეგულაციას.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სააკრედიტაციო მასალების, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილი გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ კენჭისყრაზე უნდა დამდგარიყო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი. დაწესებულებას უნდა გაეთვალისწინებინა როგორც ექსპერტთა დასკვნაში მოცემული ასევე საბჭოს სხდომაზე გამოთქმული რეკომენდაციები.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 და მე-3² პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

თავმჯდომარე

ელიზბარ ელიზბარაშვილი



ლევან გორდეზიანი

მდივანი

ნათელა სახოკია

